კულისებს მიღმა: უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქართულ სერიალებში პროდუქტის განთავსების ზრდისა და ტენდენციების ანალიზი

უჩა პაპიაშვილი

ანა კურტანიძე

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მახარაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ანა კურტანიძე

უჩა პაპიაშვილი

24.06.2024

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქართულ სერიალებში პროდუქტის განთავსების ზრდის და ტენდენციების ანალიზს. იგი მიზნად ისახავს განსაზღვროს მეთოდის ეფექტურობა ქართულ და საერთაშორისო მასშტაბის კომპანიებზე.

სამაგისტრო პროექტის განსახორციელებლად შეირჩა კომპლექსური კვლევითი მეთოდი, რომელიც მოიაზრებს ორსაფეხურიან თვისებრივ კვლევის მეთოდს. თითოეული მათგანი გამომდინარეობს და ავსებს ერთმანეთს. პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო სანდო წყაროების დამუშავება. კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა კვლევითი ბარათი, რომლის მიხედვითაც ჩატარდა კონტენტ ანალიზი წინასწარ შერჩეულ მასალებზე. შემდგომ ეტაპზე სიღრმისეული ინტერვიუს დახმარებით შეგროვდა ინფორმაცია ადგილობრივ კომპანიებთან, რომელთაგან მიღებული მასალები დამუშავდა და წარმოჩინდა გრაფიკულად. გარდა ამისა, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები შერჩეული სერიალების სცენარისტთან და მარკეტინგის ჯგუფის წარმომადგენელთან.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ პროდუქტის განთავსება, როგორც მარკეტინგული მეთოდი დღითი დღე უფრო პოპულარული ხდება ქართულ სერიალებში. კომპანიების უმეტესობა პროდუქტის რეკლამირებისთვის ამჯობინებს „ფლეისმენთის“ მეთოდს და არა ტრადიციულ რეკლამას. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროდუქტის განთავსებას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან კომპანიებისთვის ტრადიციულ რეკლამასთან შედარებით ხელმისაწვდომია, ზუსტად მოიცავს სამიზნე აუდიტორიას და მაყურებლისთვისაც პოზიტიური აღსაქმელია.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილებია: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდოლოგია, შედეგების ინტერპრეტაცია და დასკვნა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროდუქტის განთავსება, „ფლეისმენთი“, სერიალი, პროდუქტი, რეკლამა, კვლევა, მარკეტინგი.

Abstract

This master thesis is about analysis of the growth and trends of product placement in Georgian TV Shows during the last decades. This is aims to determine the effectiveness of the method for Georgian and international level companies.

A complex research method was chosen for the implementation of the master's project, including two steps qualitative methods. Each of them derives from and complements each other. The most important factor in the research process was the processing of reliable sources. At the first stage of the research, a research card was developed, according to which a content analysis was conducted on pre-selected materials. At the next stage, a dozen companies were interviewed with the help of a questionnaire, the obtained information was and visualised graphically. In addition, in-depth interviews were conducted with screenwriters of selected TV series.

The results of the research revealed that product placement as a marketing method is becoming more popular in Georgian TV series day by day. Most of the companies prefer placement method rather than traditional advertising to advertise their product. As a recommendation, it can be said that product placement should be given a lot of attention, as it is more affordable for companies compared to traditional advertising, accurately covers the target audience, and has a positive perception for viewers.

The constituent parts of the master's thesis structure are: introduction, literature review, research methodology, interpretation of results and conclusion.

Keywords: product placement, placement, series, product, advertising, research, marketing.

მადლობა

სამაგისტრო პროექტის მომზადების პროცესში დახმარების გაწევისათვის გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, მოწვეულ ლექტორ გიორგი მახარაძეს. ნაშრომზე მუშაობის პროცესში მუდმივად ვგრძნობდით აკადემიური ხელმძღვანელის მხარდაჭერასა და თანადგომას.

აგრეთვე, გვსურს უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ რესპონდენტს, ვინც მონაწილეობა მიიღო კვლევის პროცესში და სამაგისტრო პროექტის მომზადებისას რეკომენდაციებს გვაძლევდა.